ბრძანება:ბ01.011915116
თარიღი:31/05/2019

ქალაქ თბილისში, თვალის კლინიკა, და კრწანისის II ჩიხს შორის არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.018.096) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის“ 31-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 21-ე და 22-ე მუხლების, „განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N19.388.520 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის 28 მაისის N67-01191482903 წერილით წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, თვალის კლინიკა, და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.018.096) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს კ-2=3.5.

2. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს დაინტერესებული პირის მიერ საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით, ნამატი ფართის 10%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით).

3. დაინტერესებულ პირს დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით წარუდგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების გადაცემის თაობაზე.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის 28 მაისის N67-01191482903 დასკვნასთან ერთად.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს მაია ბითაძეს.

6. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილებით დამტკიცებული მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის შესაბამისად.

7. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბრძანება:ბ01.012016813
თარიღი:16/06/2020
პინი:2494
გადააძრუნეთ: document.municipal.gov.ge

„ქალაქ თბილისში, თვალის კლინიკა, და კრწანისის II ჩიხს შორის არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.018.096) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 31 მაისის Nბ01.01191511 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 და მე-9 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ N012016555-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ქალაქ თბილისში, თვალის კლინიკა, და კრწანისის II ჩიხს შორის არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.018.096) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 31 მაისის Nბ01.01191511 ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.018.104) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე"

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.018.104) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს კ-2=3.5".

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ N012016555-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საფინანსო საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **11-01203461097**
თარიღი: **11/12/2020**
პინი: **3366**

ადრესატი: შპს პილარ ჯგუფი - კრწანისი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406282240
მისამართი: საქართველო , თბილისი, ისანის რაიონი, მეტეხის ქ., N 16, ბ. 1

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ასლი:

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური, თქვენს 2020 წლის 10 ნოემბრის №10/0120315615-11 წერილთან დაკავშირებით, სადაც ითხოვთ სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშებას, გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 16 ივნისის №ბ01.012016813 ბრძანების, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურს 2020 წლის 7 დეკემბრის №16-01203422351 წერილისა და თანდართული დოკუმენტების მიხედვით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 16 ივნისის №ბ01.012016813 ბრძანებით გათვალისწინებულ ობიექტზე (საკადასტრო კოდი: №01.18.06.018.104; ფართობი 903 $მ^2$), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს **18,421.20 (თვრამეტი ათას ოთხას ოცდაერთი ლარი და 20 თეთრი) ლარს**:

$$X = L / K2 * ((K_2^1 - (K2+ K2\text{-ის } 20\ \%)) * S$$

$$102 : 2,5 * ((3,5 - (2,5 + 0,5)) * 903 = \mathbf{18,421.20\ ლარი}$$

სადაც:

ა) X არის მოსაკრებლის ოდენობა;

ბ) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისას არსებული 1 $მ^2$ მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი L არის - 102 ლარი;

გ) მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მისანიჭებელი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი K_2^1 არის - 3,5;

დ) მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი K2 არის - 2,5;

ე) სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი S არის - 903 $მ^2$.

გადახდის რეკვიზიტები:

· მიმღები: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსულობები;

· ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი: 300 77 3191 „მოსაგრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის“;

· გადახდის დანიშნულება: ბრძანების ნომერი, საგადასტრო კოდი და დამატებითი ინფორმაცია.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 7 დეკემბრის №16-01203422351 წერილი)

გაიოზ თალაკვაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საგადახდო დავალება No 0214

Transfer Order No 0214

ვალუტირების თარიღი/Value Date: 11/12/2020 რეფერენსი/reference: 10221052283

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს პილარ ჯგუფი - კრწანისი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE64BG0000000346045606GEL

თანხა/Amount
18,421.20 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
თვრამეტი ათას ოთხას ოცდაერთი ლარი 20 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს პილარ ჯგუფი - კრწანისი

საიდენტიფაკიო კოდი/Number Taxpayer
406282240

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773191

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
11/12/2020

გადახდის დანიშნულება/Description
ქ.თბილისის მერის 2020 წლის 16 ივნისის N801.012016813 გრძანება(საკადასტრო კოდ N01.18.06.018.104

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info
საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილიN11-01203461097 11/12/2020 პინი:3366

ხელმოწერა/Signature:

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 0214

Transfer Order No 0214

ვალუტირების თარიღი/Value Date: 11/12/2020 რეფერენსი/reference: 10221052283

იგრძენი მომავალი
საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს პილარ ჯგუფი - კრწანისი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE64BG0000000346045606GEL

თანხა/Amount
18,421.20 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
თვრამეტი ათას ოთხას ოცდაერთი ლარი 20 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს პილარ ჯგუფი - კრწანისი

საიდენტიფაკიო კოდი/Number Taxpayer
406282240

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773191

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
11/12/2020

გადახდის დანიშნულება/Description
ქ.თბილისის მერის 2020 წლის 16 ივნისის N801.012016813 გრძანება(საკადასტრო კოდ N01.18.06.018.104

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info
საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილიN11-01203461097 11/12/2020 პინი:3366

ხელმოწერა/Signature:

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date: